დადგენილება:**დ-81. 81233403**
თარიღი:**06/12/2023**

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №30

ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 7 მარტის №34 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

,,ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 7 მარტის №34 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 14/03/2018წ. სარეგისტრაციო კოდი: 010260020.35.116.016419) შევიდეს შემდეგი ცვლილება:

1. დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის ,,ჭ'' ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის ,,ჭ^{1}'' ქვეპუნქტი:

,,ჭ^{1}) მცირე არქიტექტურული-საინჟინრო პროექტების მომზადება ექსპერტიზის გარეშე, რომელთა მიხედვით შესასრულებელი სამუშაოების ღირებულება არ აღემატება 50 000 ლარს.''

2. დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის ,,რ'' ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის ,,რ^{1}'' ქვეპუნქტი:

,,რ^{1}) მცირე არქიტექტურული-საინჟინრო პროექტების მომზადება ექსპერტიზის გარეშე, რომელთა მიხედვით შესასრულებელი სამუშაოების ღირებულება არ აღემატება 50 000 ლარს;''.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ჭაბუკი ჭაბუკიანი

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი